

შ.პ.ს. ოპტიმუსი



OPTIMUS LTD.

“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”

საქონლო ესკიზიზა. პროექციონა. მქონლობა.

№ 220513/4

22 მაისი 2013წ.

ქადიგენის, ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების არქიტექტურული კონცეფცია

(განმარტებითი ბარათი)

წინამდებარე არქიტექტურული კონცეფცია მოიცავს ქადიგენის ტერიტორიული სამსახურის შენობის გეგმას, ფასადების გრაფიკულ ნახაზებს, სავიზიტო სურათებს (რენდერებს) მიმდებარე ტერიტორიის პერსპექტიულ გეგმას.

საკონკურსო დავალების შესაბამისად, საჭიროება მოითხოვდა არსებული ორსართულიანი შენობის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდგომ, მიგველო თანამედროვე ტიპის იერსახის და ფუნქციის მქონე ნაგებობა, რომელიც იქნებოდა როგორც ვიზუალური ასევე ესტეტიური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი და პრაქტიკული, ამასთან ორიგინალურად და სინთეზურად შერწყმული ადგილობრივ გარემოსთან.

მოცემული ორსართულიანი ნაგებობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. მისი კონსტრუქციული შიდი ჩონჩხედი გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის კარკასით. საძირკველი ლენტურია. სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკ/ბეტონის გადახურვის ანაკრები ფილებით. გადახურვა ერთქანობიანია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტის მიხედვით შენობის სამ ფასადებზე, ფრონტალურ და ტორსულ ნაწილებში, არქიტექტურული ელემენტების სახით მოეწყობა შუშის ოდნავ დამუქებული ვიტრაჟები, დამაგრებული ლითონის მილ-კვადრატების ჩარჩოებზე. ვიტრაჟები ფასადის სიბრტყიდან გამოიწევა და შენობას სივრცულად მიეცემა თანამედროვე შენობის იერსახე. ფასადის დარჩენილი სიბრტყეები, მათ შორის უკანა ფასადიც შეკეთდება, და მოპირკეთდება თანამედროვე ფასადის თეთრი კომპოზიტური მასალით, სასურველია მინა-პლასტიკი.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com